ლელო

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

19 სექტემბერი, ხუთშაბათი, 1991 წ.
№ 177-178 (10 591) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

● საქართველოს რესპუბლიკის სპორტული თამაშები
● რეგიონალური შეჯიბრებები

ერთადერთი საიმედო...

ზუგდიდი. 17 სექტემბერი (ტელეფონით). თამაშების სამეგრელოს რეგიონალურ ტურნირზე მძლეოსნობაში მხოლოდ ოთხმა რაიონმა შეძლო მონაწილეობის მიღება — აქ სასპარეზოდ შეგროვდნენ ფოთის, ხობის, აბაშისა და მასპინძელი სპორტსმენები. სენაკის, წალენჯიხის, მარტვილის და ჩხოროწყუს რაიონებმა თავი აარიდეს ტურნირს.

ზუგდიდელებს ძალ-ღონე არ დაუშურებიათ ასპარეზობის მაღალ დონეზე გამართვისთვის. სამწუხაროდ, 59 მონაწილიდან ერთადერთი ამ ქალაქის გუნდის წევრი, 16 წლის ირაკლი მაქაცარია გახლდათ, რომელმაც დამაკმაყოფილებელი შედეგები აჩვენა. იგი უძლიერესი იყო ორ სახეობაში: 100 მეტრზე რბენაში (11,4) და სიგრძეზე ხტომაში (571 სმ). ამ უკანასკნელ სახეობაში შვიდმეტრიან ზღვარსაც გადააჭარბა, მაგრამ შედეგი არ ჩაეთვალა წესის დარღვევისათვის — გამოსარბენი ბილიკი ნორმალურზე ბევრად მოკლეა, ამიტომაც გაუჭირდა ჭაბუკს მთელი შესაძლებლობის გამოვლენა. უეჭველია, რესპუბლიკური თამაშების ფინალში, თბილისში, იგი გაცილებით უკეთეს მაჩვენებელს მოიპოვებს.

სხვა დასამახსოვრებელი არაფერი ყოფილა. სულ მონაწილეებმა 6 მეორე თანრიგის (ყველა ვაჟებმა) და 18 მესამე თანრიგის შედეგს მიაღწიეს. ვაჟებში ისედაც შემცირებული პროგრამიდან ბადროსა და შუბის ტყორცნაში მონაწილეთა არყოფნის გამო, ასპარეზობები არ ჩატარებულა. თითო სპორტსმენი დარბოდა 100 მეტრზე თარჯრბენში, ქალების 800 და ვაჟების 5000-მეტრიან მანძილებზე.

გუნდური პირველობა მოიპოვა ფოთის ნაკრებმა.

შედეგი ასეთ პირობებში?..

ბათუმი. 17 სექტემბერი (ტელეფონით, „ლელოს“ კორ.). აჭარის დედაქალაქის სტადიონი აშკარად მოუმზადებელი შეხვდა მძლეოსანთა რეგიონალურ პირველობას: მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა სარბენი ბილიკების, სატყორცნი და სახტომი სექტორების ხარისხი, ადგილზე არ აღმოაჩნდათ სასტარტო სატერფულები, ბირთვები და შუბები, სიმაღლეზე ხტომის დგამები... ერთი სიტყვით, აქ თავშეყრილ ბათუმის, ქობულეთის, შუახევისა და ხელვაჩაურის სპორტსმენებს ვერაფერი შეხვედრა მოუწყვეს. და მაინც, ტურნირი, ასე თუ ისე, ჩატარდა. ცხადია, შეუფერებელ პირობებში მაღალ შედეგებზე ლაპარაკი ზედმეტია. სარბიელზე გამოსული 40 მონაწილიდან დიდი უმეტესობა სპორტსკოლების აღსაზრდელები იყვნენ, მათი მომზადების დაბალი დონითაც უნდა აიხსნას ის, რომ ისედაც შემცირებული პროგრამიდან უმეტესობაში ერთი და იგივენი იმარჯვებდნენ. სამწუხაროდ, პირველი თანრიგის ნორმატივსაც კი ვერავინ მიუახლოვდა.

როგორც ქალთა, ისე ვაჟთა სპრინტის ორივე მანძილზე — 100 და 200 მეტრზე რბენაში — მეტოქეობა ვერ გაუწიეს ა. ფახატურიძესა და მ. გალოგრეს. ფახატურიძემ მეორე თანრიგის შედეგებით (13,2 და 27,0 შესაბამისად) გაიმარჯვა. გალოგრე ამ თანრიგებსაც ვერ შესწვდა. ორჯერ პირველი იყო ვაჟების ბირთვის კვრასა და შუბის ტყორცნაში ვ. ქართველიშვილი, ქალებიდან შუბის ტყორცნაში მ. პატარაია კი მხოლოდ საკუთარ თავს ეჯიბრებოდა...

ბათუმის გუნდს არ გასჭირვებია პირველობის დასაკუთრება.

• • •

მძლეოსანთა ანალოგიური კახეთის რეგიონალური ტურნირი რუსთავში გაიმართა. გურიისა და იმერეთის რეგიონალური ასპარეზობანი კი ხვალ დასრულდება ოზურგეთსა და ქუთაისში. იმ შეჯიბრებების შესახებ მოგითხრობთ ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში. შაბათის „ლელო“ გარკვეულ ადგილს დაუთმობს აგრეთვე, სხვა სახეობების ასპარეზობათა შედეგების სამზეოზე გამოტანას.

ისინი ლიდერებად რჩებიან

რესპუბლიკის ნაკრებში თანაგუნდელები, საერთაშორისო კლასის ოსტატები ნატო ნასარიძე და ხათუნა ქვრივიშვილი მეტოქეებად მოგვევლინენ თბილისის რეგიონალურ თამაშებზე, რომელიც ძველი სტუდქალაქის სტადიონზე ტარდება. ვიტყობინებოდით, რომ მშვილდოსანთა ამ შეჯიბრებამ 60-ის ნაცვლად დედაქალაქის 10 რაიონიდან (გუნდის სრული შემადგენლობა 6 მონაწილე) რის ვაი-ვაგლახით მოუყარა თავი მის მესამედს, სამაგიეროდ, ასპარეზობას ეშხი შემატა ფიზკულტურის ინსტიტუტის ზემოდასახელებული ორი სტუდენტის მონაწილეობამ. ნასარიძე კრწანისის რაიონის ღირსებას იცავს, ქვრივიშვილი — ნაძალადევისას (თამაშებში სპორტსმენები გამოდიან იმ რაიონის სახელით, რომლებშიც ცხოვრობენ), არადა, მათ დაოსტატებაში ამ რაიონებს არავითარი წვლილი არ მიუძღვით.

საქალაქო თამაშების ჩემპიონის სახელისათვის დავის პირველმა დღემ ქვრივიშვილი დააწინაურა — 70 და 60 მეტრიდან ასპარეზობის ჯამში იგი 9 ქულით უსწრებდა ნასარიძეს და უკვე ნათელი გახდა, რომ სწორედ ამ მშვილდოსანთა დავაში უნდა გაირკვეს ვინაობა პირველი პრიზიორისა, რომელიც ჯილდოდ 500 მანეთს მიიღებს. სხვები აშკარად ჩამორჩნენ. მესამე ადგილზე მყოფი ლილი სტრინგისი ისნის რაიონ[illegible] ოსტატია ნიჩრონსნობაში) პირველი დღის მე[illegible] და ლიდერს.

მეორე დღემ (50 და 30 მეტრიდან შეჯიბრება) საგრძნობი ცვლილება შეიტანა ლიდერთა განლაგებაში — ნასარიძემ ქვრივიშვილს ოთხი დისტანციის ჯამში 1 ქულით გაასწრო — 1284 ქულა მოუგროვდა. მართალია, ეს მაჩვენებელი მის რესპუბლიკურ რეკორდს (1334) საგრძნობლად ჩამორჩება, მაგრამ ამგვარ კონკურენციაში მაინც კარგ შედეგად ითვლება. სტრინგისის ადგილი დაიკავა სულიკო თოფურიამ. იგი მესამე საფეხურზე ავიდა.

ვაჟთა შორის ერთპიროვნული ლიდერია გლდანელთა გუნდის წევრი სერგო გათიკაევი — 1231 ქულა. ფაქტობრივად, მას ძლიერი კონკურენტი არ ჰყავს — ისნელ დათო ლეკვეიშვილს ისღა დარჩენია, „ფიტას დიდი წრის“ ბოლო ვარჯიშებში მეორე ადგილის შენარჩუნებისათვის იბრძოლოს.

• • •

სურათზე: შეჯიბრების მომენტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

საქალაქო თამაშებზე დღეს ასპარეზობას ამთავრებენ ბატუტზე მხტომელები. სამაგიეროდ, ტურნირს იწყებენ მოფარიკავეები, ძალოსნები, მძლეოსნები. გუშინ თამაშებში ჩაებნენ მაგიდის ჩოგბურთელები.

ჯილდოდ-ძირგამარდნილი ჩადი

ჩვენებურ „შვიდკაცებს“ შორის ეგზომ უცნაური აქამდე არასოდეს გამართულა. ერთი რომ, უთუოდ მეტი მაყურებლის მისაზიდად, შეჯიბრება ვაკის სტადიონიდან ქართული რაგბის ახლად გამომცხვარ „მექაში“, ვარკეთილში გადაიტანეს, მეორე ის, რომ ტურნირის გამართვის მეოთხე წელს როგორც იქნა, ვიხილეთ თამაში, წინდაწინ გარიგებულის ელფერი რომ დაჰკრავდა. და ბოლოს, თითქოს სარაგბო ჯილდოების სიმრავლით განებივრებული ვიყოთ, 1988 წელს რაგბის ენთუზიასტთა მოწადინებით დაწესებულმა გარდამავალმა სპილენძის ლანგარმა ვარკეთილამდე ვერ მოაღწია: უთუოდ იმიტომ, მასზე იდეოლოგიურად მიუღებელი სიმბოლო — თბილისობის ემბლემა რომ იყო ამოტვიფრული. აკი „შვიდკაცას“ წარდგენისასვე აღვნიშნავდით ამ ამბავს!

ისე კი, ირონია იქით იყოს და ბოლო „შვიდკაცამ“ კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩვენში არაერთგზის შენიშნული: ამა თუ იმ საქმის წამომწყები ენთუზიასტები მას ბევრად უკეთ აბამენ თავს, ვიდრე ის ჯამაგირიანი მოხელეები, ვისთვისაც სხვათა მიერ დაწყებული საქმის გაგრძელება ოდენ მოვალეობის მოხდა გამხდარა. აქვე დავძენ, რომ ამას რაგბის სიკეთისათვის ვწერ და არამც და არამც ვისმესთან პირადი ანგარიშსწორებისათვის.

არადა, ფაქტი ჯიუტია: ბოლო „შვიდკაცაზე“, რომელიც წესით და რიგით შვიდკაციან რაგბიში საქართველოს ჩემპიონატი უნდა ყოფილიყო, ოცი ქართული კლუბიდან გუნდი მხოლოდ ცხრამ მოავლინა.

ონის გუნდის — „ბუბას“ რაგბისადმი ერთგულება რომ არა, იფიქრებდით, მთელმა დასავლეთმა საქართველომ შეჯიბრებას ბოიკოტი გამოუცხადაო.

ახლა იმის გარჩევა ჭირს, რომელმა გუნდმა სინამდვილეში რა მიზეზით აარიდა თავი თბილისში ჩამოსვლას. მოგახსენებთ მხოლოდ ლიხს იქიდან არაოფიციალურად შემონათვალს: „შვიდკაცას“ ორგანიზატორებს ჩვენთვის ოფიციალური მიწვევა არ გამოუგზავნიათ, მივლინებები რომ გაგვეფორმებინა და გუნდები გამოგვეგზავნაო. თუკი ამ მოსაზრებას დაეჯერება, მაშინ ეჭვს იწვევს „შვიდკაცაზე“ ორი ქუთაისელი მსაჯის ჩამოსვლა. და კიდევ, გარდამავალი ლანგარის გამოგზავნას ან მსაჯებისთვის მის გამოტანებას ნეტავ რა საბუთები სჭირდებოდა?

ნათქვამია, ცოდვა გამხელილი სჯობსო, და ზოგიერთ ლიხსიქითელს ამ ბოლო დროს ნამეტანი ჯილდოთმოყვარეობა რომ დასჩემდა, უტყუარი ფაქტია. სულ ახლახანს, ივლისში არ იყო, „აია“ — „ვესტას“ ფინალზე მასპინძლებმა, ოფიციალურ პირთა შეხსენების მიუხედავად, გარდამავალი საჩემპიონო თასი მაინც რომ არ მოიტანეს? ვთქვათ და სტუმრებს მოეგოთ, მაშინ სად მიდიოდნენ: ხელცარიელებს გამოისტუმრებდნენ ქუ-

ის. მე-4 გვ.

მანილასა და რეიკიავიკში...

ამ თვის უკანასკნელ დეკადაში იწყება მოჭადრაკეთა ორი დიდი ტურნირი

ახლა ასე დგას საკითხი: ვინ იქნება მსოფლიოს ჩემპიონი? შეინარჩუნებს ამ ტიტულს მაია ჩიბურდანიძე თუ მას პირველად დაეუფლება ნიჭიერი დიდოსტატი სიე ჯუნი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან?

დიახ, ისინი სულ მალე გეზს აიღებენ მანილისაკენ, სადაც გაიმართება მატჩი, რომლის საზეიმო გახსნა დაგეგმილია 27 სექტემბრისათვის. ეს იქნება თანამედროვეობის ორი საუკეთესო მოჭადრაკის დუელი, რომლისაკენ მიპყრობილია ამ სახეობის მილიონობით მოყვარულის თვალყური, თუმცა სექტემბრის ბოლო ათდღიურში ქალთა ფინალურ მატჩამდე კიდევ ერთი დიდი საჭადრაკო ასპარეზობა დაიწყება რეიკიავიკში.

მაიაცა და ჩინელი დიდოსტატიც კარგა ხანია ემზადებიან გადამწყვეტი შერკინებისთვის. ემზადებოდნენ მას შემდეგ, რაც სიე ჯუნმა პრეტენდენტთა უკანასკნელ მატჩში დაამარცხა იუგოსლავიელი ლარისა მარიჩი. იმ დღიდან ჩიბურდანიძისათვის ცნობილი გახდა, რომ მისი გვირგვინის ერთადერთი მოცილე ჩინელი სპორტსმენია იყო. ჩემპიონიცა და პრეტენდენტიც ერთმანეთის პარტიების საფუძვლიან შესწავლას შეუდგნენ, თუ რომელი მათგანი მეტ გულმოდგინებას გამოიჩენს, ამას დუელის ფინიში დაგვანახვებს. ისე კი, ორივე ერიდებოდა ტურნირებს: წლის პირველ ნახევარში ჯუნმა სულ ათი პარტია ითამაშა ოფიციალურად (ყოველ შემთხვევაში, ასეა ცნობილი), მაიამ — თითქმის ორჯერ მეტი (იგი კარგად გამოვიდა ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო ტურნირში). ჩიბურდანიძეს, ცხადია, მეტოქესთან შედარებით მეტი ცოდნა და გამოცდილება აქვს, რასაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული და რეიტინგიც (2495) ადასტურებს. სიე ჯუნის რეიტინგი 30 ერთეულით ნაკლებია. იქნებ ამიტომაცაა, რომ სპეციალისტების უმრავლესობა მაიას უწინასწარმეტყველებს ტ ტულის მეექვსედ დასაკუთრებას.

ერთი სიტყვით, ამ თვის დამლევს მანილაში დაიწყება ქალთა ჭ დრაკის ისტორიაში ერთი მეტა საინტერესო, ორი სხვადასხვა სკ ლის წარმომადგენლის დუელი. ც დია, მკითხველს აინტერესებს, ვი სახელით იასპარეზებს შორეულ ა მოსავლეთში მაია ჩიბურდანიძე —

ის. მე-4 გვ.

28 საკითხისთვის—სამი დღე

ბერლინი. აქ დაიწყო და სამ დღეს გასტანს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სესია, რომელმაც მსოფლიო სპორტის ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა უნდა განიხილოს. სესიის დღის წესრიგი საკმაოდ დიდია — იგი 28 საკითხს მოიცავს.

ოლიმპიური მოძრაობის ხელმძღვანელთა თავყრილობა გახსნა სოკის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა. მან შეკრებილთ მოუთხრო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 97-ე სესიის შესახებ, რომელიც წლეულს ივნისს ბირმინგემში გაიმართა.

დღის წესრიგიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბალტიისპირეთის გუნდების მონაწილეობის საკითხი 1992 წლის ალბერვილისა და ბარსელონის თამაშებში. ჟურნალისტები ფიქრობენ, რომ პრინციპული საუბარი უნდა გაიმართოს „დოპინგის პრობლემებზეც“. აღმასკომის წევრთა წინაშე საანგარიშო მოხსენებებით წარსდგებიან ალბერვილისა და ბარსელონის ოლიმპიადების საორგანიზაციო კომიტეტები. საუბარი იქნება, აგრეთვე, 1994 წლის ზამთრის (ლილეჰამერი) და 1996 წლის ზაფხულის (ატლანტა) თამაშებისათვის მზადებაზე, ბერლინის ოლიმპიურ შანსებზე (2 000 წლის ოლიმპიადის მასპინძლობასთან დაკავშირებით) და სხვ...

გამოხმაურება კომისიის დასკვნაზე და ფეხბურთის ფედერაციის პასუხზე

ზოგს მეც ვიტყვი...

გავეცანით ფეხბურთში ეროვნული ჩემპიონატის მსვლელობაში შექმნილი ვითარებისა და საჩივრების განმხილველი კომისიის დასკვნას, ბევრ რამეში მას ჩვენ არ ვეთანხმებით. პირველ რიგში გვაინტერესებს, რატომ არ მოაწერეს ხელი დასკვნას ანატოლი ნორაკიძემ და ალექსანდრე ჩივაძემ — ამ ორმა ერუდირებულმა ადამიანმა ფეხბურთში. ბევრ რამეზე თვით ფეხბურთის ფედერაციამ გასცა პასუხი, ზოგს მეც ვიტყვი. მართალია, რომ თითქოს შეზღუდულმა მოედანმა გააქრო ე. წ. ქუჩის ფეხბურთი? იმ პატარა სტადიონებზე რატომ არაფერს ამბობენ, რომლებიც კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა გადახნეს, სადაც წინათ „ველურ" ფეხბურთს თამაშობდნენ ბავშვები?

მოგეხსენებათ, ყველა ახალ საქმეს ახლავს ხარვეზები. გავეცანით 1991_92 წლების დებულებას, სადაც მარტო ლაპარაკია დიდ ფეხბურთზე, არაფერია ნათქვამი არც „ტყავის ბურთის" გათამაშებაზე და არც სამოყვარულო სპორტზე, ვგულისხმობთ ისეთ გუნდებს, როგორიც, ვთქვათ, ჩვენთვის ცნობილი „გლოსტერ სიტია", რომლის მოთამაშეები ნამდვილი მოყვარულები არიან და ფეხბურთს სამუშაოსაგან თავისუფალ დროს თამაშობენ. მასობრიობა თუ არ არის, არც ის ფანატიკური სიყვარული იქნება ფეხბურთისა, როგორც ადრე იყო.

სპორტსმენს, რომელმაც მსაჯს უკბინა, არ შეიძლება ერქვას ფეხბურთელი. მას სამუდამო დისკვალიფიკაცია უნდა მიეცეს. ასევე ფეხბურთელს, რომელიც ფიზიკურად უსწორდება მსაჯს, უნდა მიეცეს სამუდამო დისკვალიფიკაცია. ხოლო სასამართლოს წესით მსაჯს გადაუხადოს ჯარიმა და არა ფედერაციას. ფაქტია, მსაჯი დაზარალდა და არა ფედერაცია, სამართალი ასეთი უნდა იყოს. ამგვარი სანქცია ფეხბურთელებს უთუოდ მოარჯულებს.

ასევე მსაჯმა, რომელიც „შეცდება" მოედანზე, დაზარალებულ გუნდს უნდა გადაუხადოს ჯარიმა. იმ შემთხვევაში კი, თუ ფეხბურთელი თუნდაც მსაჯი დაარღვევს ეთიკის ნორმებს, ორივემ საჯაროდ უნდა მოიხადოს ბოდიში ჩადენილი დანაშაულისათვის.

ავთანდილ მერებაშვილი

ბრძოლება ერთია... უსამართლობა!

ღია წერილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას

მე მზად ვარ მთელი სიმკაცრით ვაგო პასუხი ჩემი წერილის სამართლიანობაზე, უსამართლობა რა ასატანია, ან ვინ იტანს.

პირდაპირ გაკვირვებას იწვევს 31 აგვისტოს „ლელოში" გამოქვეყნებული სფფ-ის განცხადება, სადაც იგრძნობა კომისიისადმი დაუმორჩილებლობა და გამარჯვების ტონი, აქაოდა ჩვენ დამოუკიდებლები ვართ, კომისიამ და თქვენ ყველამ, რაც გინდათ წერეთ და იკითხეთო!

სფფ-ის განცხადებაში ზრდილობიანად იხდიან მადლობას კომისიის მიმართ და დასძენენ, რომ ფედერაციამ უკვე გაითვალისწინა კომისიის რამდენიმე შენიშვნა, დანარჩენზე კი, უკაცრავად! სფფ არ ეთანხმება მთელ რიგ საკითხებს და იწყება უაზრო თავის მართლება, ელემენტარული ჭეშმარიტების უარყოფა.

სსფ-ის აზრით 20_30, გნებავთ 100 ვაი-გულშემატკივრის (ზოგან მეტიც არ ესწრება თამაშებს) მოქმედება არ შეიძლება მივაწეროთ ქალაქების მამასისხლად გადამტერებას.

ვიდრე ასეთი ულირსი სტუმარმასპინძლობა ჩვენს სტადიონებზე მართლა სისხლისღვრამდე არ მიგვიყვანს, ვიძახოთ სამაგისო არაფერი გვიჭირსო? ფედერაციის ხელმძღვანელობა თუ კაბინეტის სარკმლიდან ვერაფერს ამჩნევს, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ფაქტები ტყუილია. სფფ-ის ნეგატიური ფაქტები კომისიასაც რომ არ აღენიშნა (საუბედუროდ, ბევრი რამ ვერც მათ აღნიშნეს), თითოეული ჩვენგანი რასაც ვხედავთ, იმას რა ვუყოთ, თქვე დალოცვილებო!

რაკი სიტყვამ მოიტანა, კომისიის მისამართით მინდა ვთქვა, რომ მან სრულად ვერ გამოიტანა სააშკარაოზე სფფ-ის მთელი რიგი დანაშაულებრივი დარღვევები და, რაც თქვეს, რბილად თქვეს, ეს კი საქმეს არ წაადგება. სათქმელი მთელი სიმკაცრით უნდა თქმულიყო. მოვიტანთ ფაქტებს: 24 ივნისს სფფ-ის შურობის წინ რამდენიმე ქალაქისა და რაიონის, რბილად რომ ვთქვათ, ფედერაციის საქმიანობით უკმაყოფილო (მათ შორის თელავიც იყო) ფეხბურთის გულშემატკივართა საკმაოდ დიდმა ჯგუფმა მოიყარა თავი. ეს ფაქტი ღრმა ანალიზს და შეფასებას იმსახურებდა. 25 ივნისს გაიმართა საგანგებოდ მოწვეული პრეზიდიუმის სხდომა, სადაც ნათლად გამოჩნდა პრეზიდიუმის ძირითადი შემადგენლობის მორჩილება ფედერაციის ხელმძღვანელებისადმი.

რაც შეეხება „მაღაროელის" თამაშების შედეგების ფედერაციის გადაწყვეტილებით გაუქმებას, სპორტში მიღებული წესებითა და კანონებით იგი უსამართლოა.

იმის ნაცვლად, რომ მინდორზე გადაწყვეტილიყო თუ ვის ეკუთვნოდა უმაღლეს ლიგაში გადასვლა, ფედერაციამ მხოლოდ ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რასაც გულშემატკივრები ფეხბურთის ღალატს ეძახიან.

ფედერაცია კომისიისაგან მოითხოვს დაამტკიცოს მართლა დაქვეითდა თუ არა ჩვენი ფეხბურთის კლასი. განა ამაზე დავა შეიძლება? იმ „ცნობილი სპეციალისტებიდან, რომლებიც პირიქით ამტკიცებენ, იქნებ გვითხრან „ლივერპული" ან „ვესტ ჰემი" როგორ გაგვიძლებენ, როგორი გამანადგურებელი ანგარიშით დავამარცხებთ მათ?

ის ვიღას და რას მივაწეროთ, პირველი ეროვნული ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, ადრე ერთხმად დამტკიცებული დებულება, ყველა ძირითად პუნქტებში „რაღაცეების" გამო რომ თავდაყირა დააყენეთ?

სფფ ხელმძღვანელობა პირველი ეროვნული ჩემპიონატის წინ თელავში სტუმრობისას აკრიტიკებდა საკავშირო ჩემპიონატს იმიტომაც, რომ იქ 8 რესპუბლიკა არ იყო წარმოდგენილი უმაღლეს ლიგაში. თქვე კაი ხალხო, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში რომ კახეთიდან, მიუხედავად საზოგადოების მოთხოვნისა, ერთ გუნდსაც არ დაუთმეთ ადგილი, ეს კანონიერია?

გავაგრძელოთ საუბარი ფედერაციის საშინაო საქმიანობაზე.

გამოგიციათ ბრძანება რომლის შედეგადაც შეცვლილა კალენდარულ თამაშებზე მსაჯთა დამნიშნავი კომისია და გინდათ დაგვარწმუნოთ, რომ ამით მსაჯობასთან დაკავშირებულ პრობლემებს უშველით.

კომისიასთან ერთად ფედერაციის ხელმძღვანელობაც უნდა შეიცვალოს, აი, მაშინ ნამდვილად გამოსწორდება საქმე.

გაოცებული ბრძანდებით ყველანი, რომ კომისიამ „სფფ_ის ბოლო ორი წლის საქმიანობაში ერთი დადებითი მომენტიც ვერ დაინახა. თუ დაინახა და ამის შესახებ არაფერს ამბობს, ესეც არაა სწორი, თუნდაც იმიტომ რომ არ ვიცით ჩვენს საქმიანობაში დამაკმაყოფილებელი რა გვაქვს, რათა შემდგომში ისიც არ დავკარგოთ" — წერთ გულისტკივილით. ბარაქალა თქვენს თავმდაბლობას!

ბურთიან-ტრიბუნიანად ყველაფერი თავზე გვექცევა, ეს დალოცვილები კი შექებას ითხოვენ. არა, მაინც რამ გაგაოცათ, კაცს რაც არა აქვს, იმას ვერ დაკარგავს!

უკვე მესამე ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო, რაც დამოუკიდებელი ფედერაცია შეიქმნა. რატომ ვერ ვპოულობთ დროს, ფედერაციის ხელმძღვანელობას რატომ არ გინდათ თავად თუნდაც ერთხელ მაინც ეწვიოთ იმ ქალაქებს, რომლებიც თამაშობენ უმაღლეს ან პირველ ჯგუფებში (რომ არაფერი ვთქვათ, სხვა ჯგუფებზე), რატომ არ გინდათ იმ ქალაქებში, სადაც მორიგი ტურის მატჩი ტარდება თქვენი თვალით იხილოთ რა ხდება, თამაშის შემდეგ შეხვდეთ ორივე გუნდს, მათ ხელმძღვანელობას, იქვე იქნებიან მატჩის მსაჯებიც და გულშემატკივრებიც, მოგესმინათ ყველასთვის, გარკვეულიყავით თუ რა ხდება ჩვენს საფეხბურთო ცხოვრებაში და დაგესახათ გზები მათ გამოსასწორებლად. უფრო მნიშვნელოვანს რა საქმეს აკეთებთ კაბინეტებში ჯდომით. მაგრამ ხომ გაგიგონიათ, „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა!"

შესაძლებელია სულ მალე გავწევრიანდეთ ფიფა_სა და უეფა-ში, საქართველოს ფეხბურთი სანატრელი სრულუფლებიანი წევრი გახდეს მსოფლიოს სახელმწიფოთა შორის. ყველა ერთხმად ვამტკიცებთ, მათ შორის სფფ, რომ საქართველოში დღეს განვიცდით კარგი მწვრთნელების უკმარისობას. ეს საყვედური (და მისი გამოსწორებაც) პირველ რიგში ფედერაციის ხელმძღვანელობის საქმეა და სხვისი არავისი, ვინ თუ არა თქვენ, ვალდებული ხართ, როგორც ფეხბურთის სპეციალისტებმა, იმუშაოთ ფეხბურთელებთან და მოამზადოთ გუნდები, აქ ყველა ვიძახით: „პური მეპურემ გამოაცხოს". რას დამსხდარხართ კაბინეტებში, თქვენი საქმე და ადგილი საფეხბურთო მინდვრებზეა, საკაბინეტო კადრი როგორმე გამოიძებნება. მთელი საქართველო საკაბინეტოა, მუშაობა არავის გვინდა. ეგებ თქვენ სხვებსაც მისცეთ მაგალითი.

ბიჭიკო დეკანოზიშვილი,
თელავი.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„ბათუმი" (ბათუმი)— „ქუთაისი" (ქუთაისი) 0:4 (0:2)

ბათუმი. ცენტრალური სტადიონი. 16 სექტემბერი.

„ბათუმი": მამინაშვილი, კანტიძე, შანიძე, დურდიაძე, შეყილაძე, ზედანია, მახარაძე, მაჭუტაძე (უჯმაჯურიძე), ღლონტი, ტულუში, ნინაიძე.

„ქუთაისი": ზოიძე, თევზაძე, ჰელიძე, ბზიკაძე, ბრეგვაძე, შენგელია (შავგულიძე), კიკლიაშვილი, ხუნდაძე, ჯანაშია, დარახველია, ხურცილავა.

მსაჯები: მ. კალანდია (ზუგდიდი), ა. შალიკაძე, ზ. ცინცაძე (ორივე — თბილისი).

დუბლიორები — 3:2.

ამ შეხვედრამდე მასპინძლები მხოლოდ ერთი ქულის ამარა იყვნენ და მათთვის უჩვეულო ბოლო ადგილი ეკავათ გათამაშების ცხრილში. ამიტომაც ქუთაისელებთან მატჩში მათ მხოლოდ გამარჯვებაზე უნდა ეზრუნათ, რათა დაებრუნებინათ შელახული ავტორიტეტი გულშემატკივართა თვალში, რომელთა რიცხვი ტურიდან-ტურამდე საგრძნობლად კლებულობს. მაგრამ ბათუმელებმა ამ დღესაც ვერაფრით გამოიჩინეს თავი — ისინი ძალზე დუნედ და უინიციატივოდ ირჯებოდნენ (რამდენიმე მოთამაშის გარდა).

ქუთაისელებმა შეძლეს „ეკარნახათ პირობები" ბათუმელთათვის და უკვე მე-12 წუთზე ჯანაშიამ კიკლიაშვილის ზუსტი გადაცემის შემდეგ გახსნა ანგარიში. მეორე ბურთი მატჩის 30-ე წუთზე გავიდა — ამჯერად ჯანაშიას ოსტატური პასის მერე ხურცილავამ გამოიჩინა თავი.

მეორე ტაიმის დასაწყისში ბათუმელები ოდნავ გააქტიურდნენ, მაგრამ მეკარე ზოიძის კართან საგოლე მომენტი მაინც ვერ შექმნეს. მალე ინიციატივას კვლავ ქუთაისელები დაეუფლნენ და ხუნდაძემ ორი ულამაზესი ბურთი გაიტანა მასპინძელთა კარში.

ლევან ჯავახიშვილი,
„ლელოს" სპეც. კორ.

„დილა" (გორი) — „კოლხეთი" (ხობი) 3:2 (1:0)

გორი. ცენტრალური სტადიონი. 17 სექტემბერი.

„დილა": ჰანტურია, კონდრატიევი, მჭედლიშვილი, მელქაძე, თარხნიშვილი, შავდათუაშვილი, მარეხაშვილი, მიხანაშვილი (წიკლაური), მიქელაძე (ზვიად ხორგუაშვილი), ნეფარიძე, ზურაბ ხორგუაშვილი.

„კოლხეთი": ბერაძე, პაჭკორია, ვაშაკიძე, დოლბაია, ლატარია, ფედოტოვი (შენგელია), სამხარაძე (ბაკურაძე), რუხაძე, ხურცილავა, გოგაძე, ჰიჭინაძე, (ბულაშვილი).

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი), მ. ჰელიძე (თბილისი), ა. ჟიჟიაშვილი (მცხეთა).

გააფრთხილეს: ბ. ვაშაკიძე.
დუბლიორები — 2:3.

„დილა" და „კოლხეთი" გათამაშების ცხრილში მეზობლად არიან და ამიტომ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, თანაბარი ძალის გუნდების მატჩი ახლაც საინტერესო და დაძაბული გამოდგა. მეტოქეებმა შემტევი ფეხბურთი უჩვენეს გორის სტადიონზე შეკრებულ თაყვანისმცემლებს. ანგარიში პირველი ნახევრის 26-ე წუთზე მასპინძლებმა გახსნეს. ზურაბ ხორგუაშვილის მიერ მარჯვენა ფრთიდან წამოწყებული კომბინაცია მარეხაშვილმა სტუმართა კარის აღებით დაასრულა და ეს ანგარიში ტაიმის ბოლომდე აღარ შეცვლილა.

მეორე ნახევარი უფრო საინტერესოდ წარიმართა, შეტევებიც უფრო მძაფრი და გააზრებული გახდა. გორელთა ერთ-ერთი შეტევის დროს, 51_ე წუთზე, სტუმრებმა საჯარიმოსთან ახლოს დაარღვიეს თამაშის წესი. ჯარიმა ზუსტად შეასრულა ზურაბ ხორგუაშვილმა — 2:0. ერთი წუთის შემდეგ ნეფარიძეს მიეცა ანგარიშის გაზრდის კარგი შესაძლებლობა, მაგრამ მისი დარტყმა სტუმართა კარის დარაჯმა ბერაძემ მოიგერია. 65_ე წუთზე ამჯერად „დილას" საჯარიმოსთან დაინიშნა ჯარიმა. ბურთი უხერხულად მოიგერია მეკარე ჰანტურიამ, იქვე მიუსწრო ხურცილავამ და ანგარიშში სხვაობა შეამცირა — 2:1. გაშვებული ბურთის შემდეგ გორელი ფეხბურთელები უფრო გააქტიურდნენ. 78_ე წუთზე ნეფარიძემ თერთმეტმეტრიანი დარტყმით მესამედ აიძულა სტუმრები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში, ხოლო მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ასევე თერთმეტმეტრიანი დარტყმა ზუსტად შეასრულა გოგაძემ. 3:2 — ასე დამთავრდა მატჩი.

რამინ ჟურაშვილი,
„ლელოს" სპეც. კორ.

„სამგურალი" (წყალტუბო) — „შევარდენი 1906" (თბილისი) 2:0 (1:0)

წყალტუბო. 26 მაისის სახელობის სტადიონი. 17 სექტემბერი.

„სამგურალი": მიქაძე, იონანიძე, გოგელიძე, ბერაძე, ვ. ფესტვენიძე, ჰუმბურიძე, ჩიხლაძე, გ. ჯანელიძე, ჰყონია (ლ. ფესტვენიძე), ბაბუნიძე, ზარაბაძე.

„შევარდენი 1906": დოლიძე, ელიაშვილი, ხამხარაძე, ჩადუნელი (ყიფიანი), ნიკოლეიშვილი, კოპალეიშვილი, ტარტარაშვილი, შალამბერიძე, ანჩაბაძე, ქობელაშვილი, მონაშვილი.

მსაჯები: თ. მაჰარაძე (ხონი), მ. მირცხულავა, ვ. გვიჩია (ორივე — ლანჩხუთი).

დუბლიორები — 0:1.

თამაში დაძაბული და საინტერესო გამოდგა. დასაწყისშივე წყალტუბოელებმა მიაღწიეს წარმატებას: მესამე წუთზე ჰყონიას მიერ 25 მეტრიდან ძლიერად დარტყმის შემდეგ ბურთი თბილისელთა მეკარისაგან შარცხენა დაბალ კუთხეში აღმოჩნდა.

მე_18 წუთზე კარგად ითამაშა „სამგურალის" მეკარემ გოჩა მიქაძემ — მასთან პირისპირ გასულ ქობელაშვილს ფეხიდან ააცალა ბურთი. მიუხედავად ორმხრივი იერიშებისა, პირველ ტაიმში ანგარიში არ შეცვლილა.

მეორე ნახევარში უფრო აქტიურნი თბილისელები იყვნენ, თუმცა არც მასპინძლები დარჩნენ მაყურებლის როლში. განსაკუთრებ-

უკრაინა: დამოუკიდებელი ფეხბურთის გზით!

„როგორიც არ უნდა იყოს უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის დეკემბრის რეფერენდუმის შედეგები, ჩვენ მაინც აუცილებლად დავადგებით რესპუბლიკის დამოუკიდებელი ჩემპიონატის გზას!" — განაცხადა უკრაინის ფეხბურთის ფერედაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მისმა თავმჯდომარემ ვ. ბანიკოვმა.

უკრაინის საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტი კიევიდან იუწყება, რომ ფედერაციამ მიმართვა გაუგზავნა ოლქების, ქალაქების, ყირიმის საფეხბურთო ფედერაციებს, მწვრთნელებს, ვეტერან ფეხბურთელებს, ფუნქციონერებს, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ უკრაინული ფეხბურთი მრავალი წლის განმავლობაში მოწინავე იყო კავშირში, რესპუბლიკის ფეხბურთელები საკავშირო ნაკრების წამყვან ბირთვს შეადგენდნენ და ამავე დროს უკრაინული ფეხბურთი აშკარად განიცდიდა უკანონო შეზღუდვებსა და თვითნებობას საკავშირო ფიზიკური კულტურისა და სპორტის ხელმძღვანელობის ბიუროკრატული სისტემის მხრივ მოსკოვიდან. ახლა მხოლოდ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შეუძლია ეფექტურად და გეგმაზომიერად მართოს ფეხბურთი უკრაინაში.

ამჟამად უკრაინაში ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის სტრუქტურის რამდენიმე პროექტი აქვთ. ერთ-ერთი უმთავრესია გარდამავალ პერიოდში 1992 წლის საგაზაფხულო ჩემპიონატის ჩატარება ერთ წრედ, მერე კი რეგულარული პირველობის გამართვა შემოდგომა-გაზაფხულის პრინციპით, უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა უნდა იყოს დაახლოებით 18_20, ვინაიდან უკრაინაში არის საამისო რეზერვები და პირობები, აქ ფუნქციონირებს სხვადასხვა ლიგებისა და ზონების 45 ოსტატთა გუნდი. გარდა ამისა, პერსპექტივაში დასახულია უკრაინის 5 ნაკრების შექმნა (პირველი, ოლიმპიური, მოზარდთა ორი და ქალთა გუნდები). შემუშავებულია რესპუბლიკის თასის ჩატარების რამდენიმე პროექტი.

აღმასკომის სხდომაზე გადაწყდა, რომ უკრაინული ფეხბურთის საკითხი საბოლოოდ გაირკვეს 13_14 დეკემბერს ფედერაციის პლენუმზე. ეს პერიოდი შემთხვევით როდია შერჩეული, ამ დროს დამთავრებულია სსრ კავშირის ჩემპიონატი, სხვადასხვაგვარი კომერციული ტურნირები, ფეხბურთში მომუშავე ადამიანებს მეტი თავისუფალი დრო და შესაძლებლობა აქვთ.

ვ. ბანიკოვის ამ განცხადებას კომენტარი გაუკეთა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ნ. სიმონიანმა:

— უკრაინიდან. ცნობა მივიღეთ, — თქვა მან, — რომ ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის ამ სხდომაზე ზოგიერთებმა დაჟინებით მოითხოვეს, რათა უკრაინის გუნდები ახლავე, დაუყოვნებლივ გამოეთიშონ საკავშირო ჩემპიონატს, ეს კი ნიშნავს, რომ ეს შეჯიბრება გათამაშების დამთავრებამდე ხუთი ტურით ადრე უნდა ჩაიშალოს. ვ. ბანიკოვმა ძლივს შეძლო დაერწმუნებინა ოპოზიციონერები, რომ საკავშირო ჩემპიონატი აუცილებლად უნდა დამთავრდეს და უკრაინელმა ფეხბურთელებმა წლის ბოლომდე მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში. რაც შეეხება უკანონობას და თვითნებობას, შემიძლია ვთქვა, რომ საკავშირო ფერედაცია ობიექტურად იყო განწყობილი ყველა რესპუბლიკის მიმართ, კერძოდ, კიევის „დინამო" დიდი ხნის მანძილზე საკავშირო ნაკრების საბაზო გუნდს წარმოადგენდა და სრული მხარდაჭერით სარგებლობდა.

როგორი იქნება სსრ კავშირის 1992 წლის ჩემპიონატი? ბევრნი გვთავაზობენ ჩავატაროთ ღია პირველობის მსგავსი შეჯიბრება, მაგრამ ამ შემთხვევაში ძნელი გადასაჭრელია ფიფა_ს და უეფა-ს პრობლემები, გაუგებარია, ვინ ითამაშებს ევროპის საკლუბო ტურნირებში? გამოჩნდებიან ახალი ეროვნული ნაკრები გუნდები, რომლებიც ფიფა_ს წევრები გახდებიან მისი კონგრესის გადაწყვეტილებით, მაგრამ 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე წარდგენილია სსრ კავშირის ნაკრები და თამაშის უფლებაც მხოლოდ მასა აქვს.

დასასრულ ნ. სიმონიანმა განაცხადა, რომ ძალზე დასანანია, თუ უკრაინაც საქართველოსა და ლიტვის მსგავსად განუდგა საკავშირო ჩემპიონატს. უკვე გაურკვეველი ხდება საკავშირო ფედერაციის პერსპექტივები.

• • •

მოვიდა ცნობა იმის თაობაზე რომ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ვ. ბანიკოვი და კიევის „დინამოს" საფეხბურთო კლუბის ტექნიკური დირექტორი ვ. ვერემეევი მალე აპირებენ ფიფა_ს

ჯაფა დაადგათ წყალტუბოე- მეკარეს და მცველებს. ბურ- გატანის შესაძლებლობა ჰქო- ნარაბაძეს, მაგრამ ამ ეპიზო- მარჯვა თბილისელთა მეკარემ. წუთზე ძელმა იხსნა „სამგუ- ის" კარი — ქობელაშვილმა ვათოდ დაარტყა საჯარიმო. მის მიწურულს თბილისელებმა ამოდებით შეუტიეს, რათა რო- მე ქულა მაინც ეხსნათ, მაგ- მოხდა პირიქით — 87-ე წუ- მასპინძლებმა წამოიწყეს კო- შეტევა, გაითამაშეს მრავალს- ანი კომბინაცია და იონანიძის გატანილმა გოლმა წერტილი უსვა „სამგურალის" გამარჯვებ-

ომარ ჟუმბურიძე,
„ლელოს" კორ.

„მერცხალი" (ოზურგეთი) — ზიური" (გალი) 2:0 (0:0)

ოზურგეთი. ცენტრალური სტა ონი. 17 სექტემბერი.

„მერცხალი": დუმბაძე, ცერც- ძე, წივწივაძე (კაშია), მჟავანაძე, ულეში, ჩხაიძე სალუქვაძე (რო- ა), ამაშუკელი, ჩიგოგიძე, ბარაძე, კალანდაძე.
„მზიური": მაკახარაშვილი (ჩხე- ია), ღურწკაია, კ. კვეკვესკირი, კავა, ჩაიკა, ნ. კაკუბავა, მეტრეველი (მ. ჯლარკავა), დ. ჩხეტია, ხა- ილავა, ეთერია, ქანთარია.
მსაჯები: ნ. კილაძე, ვ. ჩოჩიშვილი (ორივე — თბილისი), მ. ჯულაძე (სამტრედია).

გააფრთხილეს: ვ. ჩხეტია, მ. ჟავანაძე, დ. კაკუბავა, ნ. კაკუბავა.

დუბლიორები — 2:1.

შეხვედრის პირველი ნახევარი ნაბარ ბრძოლაში წარიმართა, მა- მ მცირე სათამაშო უპირატესო- მაინც მასპინძლები ფლობდნენ. ორე ტაიმის დასაწყისში გალე- ებმა ტემპს უმატეს, 57-ე და 66- უთებზე მეტრეველსა და ქანთა- ს შეეძლოთ კიდეც თავის გა- ჩენა, მაგრამ მათი დარტყმები უზუსტი იყო. 75-ე წუთზე ჩიგო- ძესთან უხეში თამაშისთვის სტუ- რთა კარში დაინიშნა პენალტი — მჟავანაძის დარტყმა მოიგერია ხარაშვილმა. ტაიმის ბოლოს ალი" გააქტიურდა და 84-ე უთზე კალანდაძის დარტყმამ 25 ტრიდან მიზანს მიაღწია — 1:0. მის ბოლოს კი, 88-ე წუთზე, ვე შორი მანძილიდან კაშიამ რედ აიღო „მზიურის" კარი. ევანდელ ჩემპიონატში ეს ოზ- გეთელთა პირველი წარმატებაა.

ნუგზარ ასათიანი,
„ლელოს" კორ.

„ოდიში" (ზუგდიდი) — „იბ- ია" (თბილისი) 1:0 (0:0)

ზუგდიდი. ცენტრალური სტადი- ო. 17 სექტემბერი.

„ოდიში": ჰანტურია, კვიტატი- ბერიშვილი, თუთბერიძე, ჯა- შვილი, კვარაცხელია, მალანია, შე- ნია, ბიგვავა (მერაბ ჯიქია), ყი- ლაშვილი (მამუკა ჯიქია), კირ- ნკო (ჯანაშია).
„იბერია": ჩხეიძე, ტყებუჩავა მარაული), ქველაძე, ცომაია, ჯი- რბანი, რევიშვილი, ინალიშვილი, ქოვანი, ჭაჭარავა, ყაველაშვილი, არველაძე.
მსაჯები: ჯ. წერეთელი (რუსთავი), ფოლადაშვილი (რუსთავი), დ. ბეიაშვილი (გარდაბანი).
დუბლიორები — 2:1.

ტურის ამ ცენტრალურ მატჩში „იბერია" ერთგვარი გამომცდელი იყო — უნდა შეემოწმებინა, რამდენად სერიოზულია „ოდიშის" პრეტენზია ეროვნულ პირველობაზე პირველ ხუთეულში ადგილის დასამკვიდრებლად. თბილისელები მასპინძელთა წინააღმდეგ სრული შემადგენლობით გამოვიდნენ. მიუხედავად ამისა, გაიმარჯვეს მასპინძლებმა, ეს კი, განაპირობა არა მარტო ძალების სრულმა მობილიზაციამ, მონდომებამ და ბრძოლისუნარიანობამ (რაც თავისთავად ძალზე საჭიროა, მაგრამ არასაკმარისი ესოდენ ძლიერი მეტოქის დასამარცხებლად), არამედ ტაქტიკურმა სიზუსტემაც, საკუთარი ძალების რწმენამ.

სტუმრები გაშლილად, მთელი ძალებით უტევდნენ, ცდილობდნენ გამოეყენებინათ ყაველაშვილისა და რ. არველაძის სისწრაფე და მაღალი ტექნიკა, კაჭარავას მანევრირება, თუმცაღა იშვიათად ახერხებდნენ „ოდიშის" კარისთვის საფრთხის შექმნას. მასპინძლები პირიქით — უფრო დინჯად თამაშობდნენ, შეტევებს საფუძვლიანად ამზადებდნენ, დიდხანს აკონტროლებდნენ ბურთს, დაცვაში კი მჭიდროდ და თითქმის უშეცდომოდ მოქმედებდნენ. საკვირველია, მაგრამ ფაქტია: „იბერიამ" არჩეული ტაქტიკით მხოლოდ ერთხელ (!) შეუქმნა საფრთხე მეტოქის კარს (მთელი თამაშის განმავლობაში). ეს მოხდა 26-ე წუთზე, როდესაც რ. არველაძის დარტყმის შემდეგ ბურთი ძელს მოხვდა. მეორე ტაიმის განმავლობაში მასპინძელთა მეკარე ჰანტურია სერიოზულად ერთხელაც არ ჩაბმულა თამაშში, მიუხედავად იმისა, რომ გოლის გაშვების შემდეგ თბილისელები ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ. მასპინძლებს კი ანგარიშის გახსნა უკვე მე-13 წუთზე შეეძლოთ, როდესაც კარის წინ მყოფი შეროზიას ეფექტური დარტყმა მოხვდა ერთ-ერთ მცველს, 37-ე წუთზე კი ყიზილაშვილმა განახორციელა გარღვევა, ძლიერადაც დაარტყა, მეკარე ჩხეიძემ ბურთი მოიგერია, მაგრამ კირსენკოს განმეორებითი დარტყმა უზუსტო იყო. ერთადერთი ბურთი ამ თამაშში გავიდა 58-ე წუთზე — მალანიამ ცენტრიდან წამოიწყო იერიში, მიუახლოვდა საჯარიმო მოედანს, შესანიშნავი გადაცემით „მოძებნა" ყიზილაშვილი, ეს უკანასკნელი კი შეიჭრა საჯარიმოში, გვერდი აუარა ორ მცველს, გავიდა მეკარესთან პირისპირ და ზუსტად დაარტყა — 1:0.

რომან გაგისონია,
„ლელოს" კორ.

„გორდა" (რუსთავი) — „სამტრედია" (სამტრედია) 2:1 (0:0)

რუსთავი. „ფოლადის" სტადიონი. 17 სექტემბერი.

„გორდა": ქორიძე, ფირცხალავა, ავაქიანი, ლობჟანიძე, ქახრაშვილი, თორლაშვილი, ტ. კაპანაძე, კილასონია, ა. კაპანაძე, ფანცულაია, მიქაშავიძე.

„სამტრედია": თოდაძე, კოხრეიძე, შურღაია, ნადირაძე, ბერაია, მამფორია, ლორთქიფანიძე (ბრეგვაძე), ხვინაიძე, სანიკიძე, ენდელაძე, გეგეშიძე.

მსაჯები: ს. კვარაცხელია, გ. კალანდია (ორივე — ზუგდიდი), ი. მექერიშვილი (გურჯაანი).

გააფრთხილეს: ე. ავაქიანი, რ. თორლაშვილი, ა. შურღაია, გ. ნადირაძე.

შეხვედრის პირველი ნახევარი ორმხრივი შეტევებით, სწრაფ ტემპში წარიმართა, მაგრამ, ფაქტობრივად, აშკარა საგოლე მომენტი არ შექმნილა. მეორე ტაიმი უფრო დაძაბული გამოდგა, გათამაშების ლიდერს — „გორდას" ხომ პოზიციის განმტკიცება სურდა, ხელსაყრელი შესაძლებლობები ვერ გამოიყენეს ფანცულაიამ და ავთანდილ კაპანაძემ. 53-ე წუთზე მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა: „გორდას" ფეხბურთელთა შეცდომით კარგად ისარგებლა სვინაიძემ და ანგარიში გახსნა. თამაში გამწვავდა. 62-ე წუთზე ხელით თამაშისთვის სამტრედიელთა კარში დაინიშნა პენალტი და კილასონიამ ზუსტადაც დაარტყა — 1:1.

ცხადი გახდა „გორდა" გამარჯვებისათვის არაფერს დაზოგავდა. 78-ე წუთზე ფირცხალავას ზუსტი პასი კარგად გამოიყენა ფანცულაიამ და ეფექტური გოლი გაიტანა. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა „გორდამ". უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკვე ზედიზედ მესამე მატჩია, როცა „გორდამ" დამარცხებისაგან იხსნა თავი, სამი ქულაც მოიპოვა და კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერის პოზიცია.

რაჟდენ გაბრიჭიძე,
„ლელოს" კორ.

„მრეტები" (თბილისი) — „კოლხეთი-1918" (ფოთი) 3:1 (2:0)

თბილისი. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 17 სექტემბერი.

„მრეტები": ჯანელიძე, ქორიძე, ასპინძელაშვილი, პაპაიძე, ბ. წიკლაური, მეტრეველი (ჩუხუა, იაგორაშვილი), ა. წიკლაური, ოჩერაშვილი, კიკვილაშვილი (ხოხროშვილი), ტყავაძე, ხურცილავა.
„კოლხეთი-1918": გვასალია, თიბილაშვილი, კაკაჩია, გიორგაძე, გიგატაძე (გოროზია), შამათავა, თოფურია (ქვანია), ტორჩინავა, ხიჯინავა (ქუნთელია), ლალანიძე, ქობალია.

მსაჯები: ნ. მიქაუტაძე, ჰ. დოგრაშვილი (ორივე — ქუთაისი), ა. წერეთელი (ჭიათურა).

ფოთელთა გუნდი თბილისში სტაბილური წარმატებით ასპარეზობს და დედაქალაქის გუნდებისათვის ერთგვარ რისხვასაც წარმოადგენს. რაც შეეხებათ მასპინძლებს, „მრეტებს", ამ დღეს ეს გუნდი ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშის გარეშე გამოვიდა მინდორზე.

შეხვედრა საშუალო ტემპში, ორმხრივი იერიშებით დაიწყო. პირველად ფოთელებმა შეუტიეს, დარტყმა ოსტატურად მოიგერია მეკარე ჯანელიძემ. რამდენიმე წუთში კი ბ. წიკლაურის გადაცემა ზუსტად გამოიყენა თბილისელმა ხურცილავამ და გახსნა ანგარიში — 1:0. ცოტა ხანში ტყავაძემ გამოიჩინა თავი — მან გვერდი აუარა ფოთელთა მცველებს და ანგარიში ორამდე გაზარდა. გატანილი ბურთის შემდეგ „მრეტები" კიდევ უფრო გააქტიურდა. გვასალიას კარს სახიფათოდ უტევდნენ ტყავაძე, ხურცილავა, ა. წიკლაური. პირველი ტაიმის მიწურულს ფოთელებს შეეძლოთ ანგარიშის შეცვლა, მაგრამ ამჯერადაც მეკარე ჯანელიძე იყო მოწოდების სიმაღლეზე.

მეორე ტაიმიც თბილისელთა იერიშებით დაიწყო. ერთ-ერთი შეტევის დროს ტყავაძემ კარგად შენიშნა ხელსაყრელ პოზიციაში მყოფი ხურცილავა, ამ უკანასკნელმაც არ დააყოვნა და მარცხენა მაღალ კუთხეში გაგზავნა ბურთი. მესამე ბურთმა ფოთელები აიძულა, უფრო თამამად გადასულიყვნენ „მრეტების" ნახევარზე და მართლაც სულ მალე ახალგაზრდა თბილისელი მცველები იძულებული იყვნენ იკრძალული წესით შეეჩერებინათ გიორგაძე. მსაჯმაც უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი, რომელიც ზუსტად შეასრულა თოფურიამ — 3:1. დანარჩენ ეპიზოდებში კი მოწოდების სიმაღლეზე იდგა დავით ჯანელიძე, რომელიც, ტრადიციულად, ერთ-ერთი საუკეთესო იყო მასპინძელთა შორის.

თამუნა ჯიშკარიანი

„ალაზანი" (გურჯაანი) — „სულორი" (ვანი) 1:0 (0:0)

გურჯაანი. ცენტრალური სტადიონი. 17 სექტემბერი.

„ალაზანი": ჰუნიაშვილი, შუბითიძე (წიქარიშვილი), კველიშვილი, ხანადირაძე, ჭავთარაძე, სპანდერაშვილი, ბაწაშვილი, ძნელაძე, ხოლოღაშვილი, ყიზილაშვილი (ქოჩლაძე), კობახიძე (ბარნაბიშვილი).
„სულორი": კიკალეიშვილი, რუტსკი, გ. ვერულაშვილი, მ. ერემეიშვილი, გ. ბრეგვაძე, ორმოცაძე, ა. დვალიშვილი, ნ. დვალიშვილი, დუროვი, ჯ. ვერულაშვილი, ლ. დვალიშვილი.
მსაჯები: ე. ხილაგავა, ზ. დარჩია, შ. თომაშვილი (სამივე — თბილისი).
გააფრთხილეს: გ. ბაწაშვილი, დ. ორმოცაძე, ლ. დვალიშვილი.
დუბლიორები — 0:3.

„ალაზანმა" თამაშის დასაწყისიდანვე ხელთ იგდო უპირატესობა და მთელი მატჩი თავისი კარნახით წარმართა. საგოლე მომენტებიც მრავლად შეიქმნა, თუმცა მასპინძელთა თავდამსხმელებს მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, ანგარიში პირველ ტაიმშივე გაიხსნებოდა. ხელსაყრელი შესაძლებლობები ვერ გამოიყენა სპანდერაშვილმა, ბაწაშვილის ძლიერმა დარტყმებმა ორჯერ შეაზანზარა კარის ძელი.

მეორე ტაიმში „სულორი" გააქტიურდა, მასპინძელთა გახშირებულ იერიშებს კონტრშეტევებით პასუხობდა, თუმცა რამდენიმე სახიფათო მომენტის შექმნა ჰუნიაშვილის კართან ვანელებმა ვერ მოახერხეს.

მიუხედავად ხშირი შეტევებისა, ერთადერთი გოლი ამ მატჩში 89-ე წუთზე გავიდა: კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს მიუსწრო ქოჩლაძემ, რომელმაც კარგად გამოიყენა მეკარის შეცდომა და გამარჯვების გოლი გაიტანა ვანელთა კარში.

ვალერი ლარიბაშვილი,
„ლელოს" კორ.

„ცხუმი" (სოხუმი) — „გურია" (ლანჩხუთი) 6:0 (2:0)

სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 17 სექტემბერი.

„ცხუმი": ყორყოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა (სიჭინავა), კურგენიანი, მალანია, გოგიაშვილი, ჯიშკარიანი, პაპავა, გოგრიჭიანი, ცაავა (გადელია), გაბესკირია (მინდაძე).

„გურია": აბუსერიძე, ჩხაიძე, გუჯაბიძე, აფციაური, კაბისაშვილი, გოგიჩაიშვილი (მეგრელაძე), მიქაბერიძე, ნემსაძე (ბარათაშვილი), კორღალიძე, ფრიდონაშვილი (თევზაძე), უგრელიძე.

მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი), ზ. ლაცაბიძე (თბილისი), ტ. ტურაშვილი (გორი).

გააფრთხილეს: გ. ნემსაძე, ლ. ბარათაშვილი.

შეხვედრა მასპინძელთა სრული უპირატესობით წარიმართა. უკვე მეექვსე წუთზე ჯიშკარიანმა კარგად გამოიყენა გაბესკირიას გადაცემა და ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. ლანჩხუთელებმა რამდენიმე მწვავე კონტრშეტევა განახორციელეს, მაგრამ მასპინძელთა დაცვა და მეკარე ამ დღეს მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ.

მეორე ბურთი 42-ე წუთზე გაიტანა გოგრიჭიანმა, რომელმაც ჩინებულად დააგვირგვინა თანაგუნდელთა მრავალსვლიანი კომბინაცია. მეორე ნახევარში ჯერ ცაავამ (49-ე წუთზე), შემდეგ კი გოგრიჭიანმა (74-ე წუთზე) ორი გოლი გაიტანეს, 78-ე წუთზე კი კვლავ გოგრიჭიანმა გამოიჩინა თავი, რომელმაც ოსტატურად დაარტყა პენალტი — 5:0. ბოლო, მეექვსე გოლი ჯიშკარიანის ანგარიშზეა, რომელმაც 88-ე წუთზე წერტილი დაუსვა „ცხუმის" გამარჯვებას.

6:0 — ეს ანგარიში პირველად აღინიშნა წლევანდელ ეროვნულ ჩემპიონატში.

თენგიზ პაჭკორია,
„ლელოს" კორ.

• • •

ზესტაფონში „მარგვეთმა" ოჩამჩირის „ამირანს" უმასპინძლა და გაიმარჯვა — 2:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გორდა" (რუსთავი)	7	6	1	0	19-9	19
„ცხუმი" (სოხუმი)	7	6	0	1	23-10	18
„ოდიში" (ზუგდიდი)	7	6	0	1	12-5	18
„იბერია" (თბილისი)	7	5	0	2	16-6	15
„მრეტები" (თბილისი)	7	4	1	2	12-8	13
„გურია" (ლანჩხუთი)	7	4	0	3	17-13	12
„სამგურალი" (წყალტუბო)	7	4	0	3	10-11	12
„მზიური" (გალი)	7	4	0	3	8-10	12
„კოლხეთი-1918" (ფოთი)	7	3	2	2	8-7	11
„ქუთაისი" (ქუთაისი)	7	3	1	3	12-12	10
„ალაზანი" (გურჯაანი)	7	3	1	3	8-10	10
„დილა" (გორი)	7	3	0	4	9-10	9
„მარგვეთი" (ზესტაფონი)	7	2	2	3	9-12	8
„შევარდენი-1906" (თბილისი)	7	2	1	4	10-11	7
„სამტრედია" (სამტრედია)	6	2	0	4	12-13	6
„კოლხეთი" (ხობი)	7	1	3	3	9-13	6
„მერცხალი" (ოზურგეთი)	7	1	2	4	6-13	5
„სულორი" (ვანი)	7	1	1	5	7-16	4
„ამირანი" (ოჩამჩირე)	7	1	0	6	5-16	3
„ბათუმი" (ბათუმი)	6	0	1	5	4-15	1

ის შტაბ-ბინაზე გამგზავრე- სთა გაეცნონ ამ ორგანიზა- უკრაინის ფეხბურთის ფე- ციის გაწევრიანებასთან დაკა- ებულ ვითარებას.

ანიკოვმა განაცხადა: „ჩვენი ცია ემყარება მხოლოდ და ოდ კანონიერების საფუძველს, გამომდინარეობს უკრაინაში შე- კონკრეტული პოლიტიკური უაციიდან. ეჭვი არაა, უკრაი- ფეხბურთი ახლა სწრაფი ნა- ით, დამოუკიდებლად წავა ისი მომავლისკენ. მაგრამ ის- და აღვნიშნო, რომ უკრაინის დების ყველა მოთამაშე, რომ- ც სსრ კავშირის ნებისმიერი ნაკრებ გუნდებში გამო- წლეულსაც და გაისადაც ით- იქ უკლებლივ ყველა სა- შორისო შეჯიბრებაში".

ც, ასეთი სიტუაცია ყველას აკმაყოფილებს. მრავალი ელი, ფეხბურთელი და გა- რებით გულშემატკივრები ოვენ უფრო სწრაფ და კა- ცვლილებებს. მათი ს- უკრაინა დაუყოვნებლივ, ე გამოვიდეს საკავშირო ფე- ციის შემადგენლობიდან.

საუბარი ნ. ახალკაცთან

„მოხდა ის, რაც გაცილებით უფრო ადრე უნდა მომხდარიყო." — ასე შეაფასა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ ნ. ახალკაცმა უკრაინის საფეხბურთო ცხოვრებაში დასახული გარდაქმნები. საქდესის კორესპონდენტთან საუბარში მან განაცხადა:

— საკავშირო სარბიელიდან საქართველოს გუნდების წასვლის „მკრეხელური" აზრი მე ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინ გამოვთქვი. შემდეგაც, როცა თბილისის „დინამოს" უფროსი მწვრთნელი ვიყავი, არაერთხელ მივანიშნე რესპუბლიკის ჩემპიონატის ჩატარების თაობაზე. მაშინ ეს მე წარმოდგენილი მქონდა მეორე ლიგის ცალკეული ზონების შეჯიბრებად, სადაც გამარჯვებულებს საშუალება მიეცემოდათ შეეცვალათ უფრო მაღალი ლიგების გუნდები. შემდეგ წინადადება შევიტანე შეგვემუშავებინა ქვეყნის ღია ჩემპიონატი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ ფორმულას მოსკოვში მხარი არ დაუჭირეს. მაშინაც, როცა გამოვეთიშეთ საკავშირო ჩემპიონატისა და თასის გათამაშებას, დაგვაბრალეს, რომ პოლიტიკოსების ნება-სურვილს ხართ აყოლილიო.

კორესპონდენტის შეკითხვაზე, რომ თვითიზოლაციის პირობებში ქართულმა ფეხბურთმა ბევრი რამ დაკარგა, ნ. ახალკაცმა განაცხადა:

— ჩამობრძანდით და ნახეთ. მზად ვართ გაჩვენოთ ყველაფერი, ცუდიც და კარგიც, აგიხსნათ ჩვენი პრობლემები და სიძნელეები, მაგრამ მთავარს მაინც მივაღწიეთ: რესპუბლიკური ჩემპიონატის სტრუქტურა ევროპულ ყაიდაზე გარდავქმენით, ჩამოვაყალიბეთ კლუბები, გადავედით სისტემაზე „შემოდგომა-გაზაფხული" ურომლისოდაც, როგორც მრავალი წლის პრაქტიკა ცხადყოფს, ძალზე ძნელია წარმატების მოპოვება ევროპული თასების გათამაშებებში. დღეს დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველომ მოიგო ის წელიწადნახევარი, რომელიც აუცილებლად დასჭირდება საფეხბურთო ცხოვრების გარდაქმნას ნებისმიერ რესპუბლიკაში.

კორესპონდენტის შენიშვნაზე, რომ არსებობს ფიფა-ს და უეფა-ს მკაცრი აკრძალვა საქართველოსა და ლიტვის ფედერაციებთან საერთაშორისო შეხვედრების ჩატარებაზე და, საერთოდ, რაიმე კონტაქტებზე, ნ. ახალკაცმა თქვა:

— ყველა ეს აკრძალვა საკავშირო ფედერაციის ჯიუტი ინიციატივის შედეგია და მათი გვერდის ავლა სავსებით შესაძლებელია. ასე, მაგალითად, პოლონეთის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში თამაშობს გ. გურული, შვეციის პროფესიულ გუნდებში გამოდიან ს. ჰედია, ზ. სვანაძე, კ. ცხადაძე, კიპროსში თამაშობს თ. ქეცბაია, იქვე მწვრთნელად მუშაობს ვ. გუცაევი.

შეკითხვაზე, თუ როგორ წარმოუდგენია ფეხბურთის შემდგომი განვითარება და პერსპექტივები სსრ კავშირის ტერიტორიაზე, ნ. ახალკაცმა განაცხადა:

— არის დიდი ქვეყანა რუსეთი. მას ჰყავს თავისი პრეზიდენტი, თავდაცვის მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, გააჩნია ატომური იარაღი, მაგრამ არა აქვს თავისი ნორმალური საფეხბურთო პირველობა. გასაგებია, რომ თუ ყველა რესპუბლიკას ექნა თავისი დამოუკიდებელი ჩემპიონატი, ასეთი შეჯიბრება უნდა ჩატარდეს რუსეთშიც. საბჭოთა კავშირში სავსებით შესაძლებელია ისეთი ტიპის ტურნირი, როგორიც ბრიტანეთის კუნძულებზე იმართება, ე. ი. შეჯიბრება სუვერენულ რესპუბლიკათა ნაკრებ გუნდებს შორის, ან სხვა რაიმე მსგავსი, მაგრამ ამის თაობაზე საჭიროა წინასწარი მოლაპარაკება პარიტეტული უფლებების მქონე მხარეებს შორის. რაც შეეხება „ფეხბურთის ჩინოვნიკებს", რომლებსაც მხოლოდ თავიანთი სავარძლების შენარჩუნება ადარდებთ. მათი პრეტენზიების მოსმენა საჭირო აღარაა. წარმოიდგინეთ, რა აბსურდულ მდგომარეობაში იმყოფება საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარე ვიაჩესლავ კოლოსკოვი, რომელიც საბჭოთა ფეხბურთის წარმომადგენელია ფიფა-ში. ძნელი სათქმელიცაა, ვისი წარმომადგენელია იგი ამჟამად ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში, როცა რესპუბლიკები დამოუკიდებლობისკენ ისწრაფვიან და თითოეული მათგანი საკუთარი ინტერესებითა და საჭიროებით ცხოვრობს...

მეთექვსმეტე სვეტი

● **ცნობილმა** ინგლისურმა ფირმამ „კრეიტ პრაუზ ჰოლდინგსმა", რომელიც ვაჭრობდა სპორტული, თეატრალური და მუსიკალური სანახაობების ბილეთებით, თავი გაკოტრებულად გამოაცხადა. ამით ყველაზე მეტად დაზარალდნენ სპორტის მოყვარულები, ვინაიდან ფირმას უკვე მიღებული ჰქონდა შეკვეთები (და ფულიც) გოლფისტთა შეჯიბრებაზე „რაიდერ ქაფსა" და მორაგბეთა მსოფლიო თასის გათამაშებაზე დასასწრებად.

● **საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის ექსპერტთა განცხადებით, ზამთრის თამაშების ჩატარება შეუძლია ორ მეზობელ ქვეყანას. ამისათვის საჭიროა მხოლოდ მხარეთა თანხმობა. ასეთი „სანახევრო ოლიმპიადის" გამართვა განზრახული აქვს ფინეთის ქალაქ ლახტის, მაგრამ სოკ-ის განცხადებით, მან ჯერ მსოფლიო ჩემპიონატს უნდა უმასპინძლოს სათანადოდ (2001 წელს) და დაამტკიცოს, რომ უფრო დიდი მასშტაბის კომპლექსური შეჯიბრებების ჩატარებაც ხელეწიფება. ასე რომ, სანახევრო ოლიმპიადაზე ფიქრი ფინეთის ამ ქალაქს შეუძლია 2006 ან 2010 წლისათვის.

● **ეკვადორელი** ჩოგბურთელი ანდრეს გომეში არასდროს არ იყო „პირველი სიდიდის" „ვარსკვლავი", მაგრამ შარშანდელი სეზონი მან ბრწყინვალედ დაამთავრა, მოიგო „დიდი მუზარადის" ერთ-ერთი ტურნირი — საფრანგეთის ღია ჩემპიონატი და მსოფლიო რეიტინგში მეოთხე ადგილი დაისაკუთრა. მაგრამ ეს იყო მცირე ხნით და 31 წლის ვეტერანმა სულ მალე დათმო პოზიციები. წლეულს გომეშმა მხოლოდ ერთი ტურნირი მოიგო ბრაზილიაში (ფინალში ესპანელი ხავიერ სანჩესი დაამარცხა). ეკვადორის სპორტულმა წრეებმა ეს გამარჯვება დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს. ფიქრობენ, რომ ბრაზილიაში გამარჯვების შემდეგ გომეში გაიუმჯობესებს რეიტინგს. შეგახსენებთ, რომ ამჟამად იგი მსოფლიოში 142-ე ჩოგბურთელად ითვლება.

● **მართალია**, სოკ-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ლიტვას, ლატვიასა და ესტონეთს შეუძლიათ დამოუკიდებელი გუნდების გამოყვანა 1992 წლის ოლიმპიადებზე, ბალტიისპირეთის რესპუბლიკები მონაწილეობას ვერ მიიღებენ ალბერვილის თამაშების ჰოკეისტთა ტურნირში. საქმე ის გახლავთ, რომ ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება სხვა ქვეყნებმა უკვე კარგა ხანია მოიპოვეს შერჩევით ტურნირებში და ახალი გუნდების დამატება დიდ უხერხულობას გამოიწვევდა. ისე კი, ჰოკეის საერთაშორისო ფედერაცია თავის მორიგ სხდომაზე (პარიზი, სექტემბრის ბოლო რიცხვები) მიიღებს გადაწყვეტილებას ბალტიისპირეთის რესპუბლიკების სტატუსის აღდგენის თაობაზე. როგორც ცნობილია, ამ საერთაშორისო ფედერაციაში ისინი 1931-1940 წლებში გაწევრიანდნენ.

● **ბრიუსელი.** საკმაოდ მაღალი შედეგებით აღინიშნა მძლეოსანთა „გრან პრის" სერიის ერთ-ერთი ბოლო შეჯიბრება ბელგიის დედაქალაქში. იამაიკელმა მერლინ ოტიმ 200 მეტრი 21,6-ში გაირბინა. ეს გახლავთ წლევანდელი სეზონის საუკეთესო და მძლეოსნობის ისტორიაში მესამე შედეგი. შეგახსენებთ, რომ ოტი 31 წლისაა. ამავე დისტანციაზე ვაჟთა შორის უძლიერესი იყო ამერიკელი მაიკლ ჯონსონი — 19,89. 10 კილომეტრიან დისტანციაზე ბრწყინვალე შედეგი აჩვენა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა კროსში კენიელმა ჯონ ნგუგიმ — 27.11,62. „გრან პრის" ბოლო ფინალური შეჯიბრება გაიმართება 20 სექტემბერს ბარსელონაში.

● **ბარსელონა.** თანამედროვე ხუთჭიდში იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატზე გუნდური გამარჯვება სსრკ-ის სპორტსმენებმა მოიპოვეს. პირად ჩათვლაში ჩემპიონი გახდა მოსკოველი დიმიტრი სვატკოვსკი — 5553 ქულა.

ჯილდოდ–ძირგავარდნილი წალდი

(დასასრული)

თაისიდან? ცოტა უხერხული კია, ქუთათურთათვის სპორტული წესიერების პრინციპების შეხსენება რომ გვიწევს.

მივუბრუნდეთ თავად შეჯიბრებას. თქმა არ უნდა, ვარკეთილის სტადიონის მუშაკები ამჯერადაც კარგად გაისარჯნენ, ორგანიზატორთა უგერგილობით ქალაქგარეთ გადმოხვეწილ მორაგბეებს თავი შინ რომ ეგრძნოთ: მოედანიც ციმციმ დახაზეს, რაგბის კარებიც აღმართეს, მონაწილეებს მუქთა საუზმეც შესთავაზეს, მაგრამ დახეთ უბედურებას: რაკილა ვარკეთილის სტადიონი საწვრთნელი ბაზაა, მისი პერსონალის გულკეთილობის მიუხედავად, მაინც მოუმარჯვებელია დიდი შეჯიბრების გასამართავად; ჩემპიონატის რიგითი თამაშების გამართვას კი იტანს, მაგრამ გამოუსადეგარია სარაგბო დღესასწაულის მოსაწყობად: მოედანი გადახრუკულია, ტრიბუნები პატარაა, ფეხბურთის ფედერაციის განკარგულებით მოედანს შემოვლებული ლითონის ბადის წყალობით კი, თუ თამაშის ყურება გსურს, ფეხზე უნდა დადგე. ახლა წარმოიდგინეთ ზეიმი, რომელსაც მოსეირენენი ოთხ საათს ლამის ციხის გისოსებიდან ზეზეულად უცქერენ და ყველაფერი ნათელი შეიქნება.

ვერ ვიტყვი, ამჯერად მორაგბეებს სასპარეზო პირობების გაუარესების გამო არ დაუჩივლიათო, მაგრამ ამას მათს განწყობილებასა და თამაშის ხარისხზე არ უმოქმედნია. ცხადი იყო, ბევრ გუნდს მეტად გაუგია შვიდკაცას გემო, მეტადრე კი „ყოჩებს", ქართველთაგან პირველებმა რომ იასპარეზეს სახელგანთქმულ „ჰაინეკენის შვიდკაცაზე". ლაზათიანად ითამაშეს „შევარდენის" ორივე შემადგენლობამ: „აკადემიამ", „რუსთავმა" და, რაღა თქმა უნდა, ორივე „ვესტამ", პირობითად „ჭეელებად" და „ბებრებად" რომ შეგვიძლია მოვიხსენიოთ.

პირველ დღეს კინაღამ სენსაცია მოხდა: „უნივერსიტეტი" 10 ქულით უგებდა ვესტელ „ბებრებს", მაგრამ მეორე ტაიმში ყველაფერი თავ-თავისს ადგილზე დადგა. მოხდა ერთი უსიამო ამბავიც: თამაშთა განრიგის შემდგენელთა ლაფსუსის გამო „ვესტას" „ჭეელებსა" და „აკადემიას" შანსი მიეცათ, „ჩაწყობილი" თამაში რომ ეთამაშათ. ჰოდა, პირველებმაც, რომელთა შორის ხუთნი სხვადასხვა დროს „აკადემიაში" თამაშობდნენ, თავისი ძველი გუნდი „ვერ გაიმეტეს" და ისეთი ანგარიშით მოუგეს, რომ „აკადემიის" კონკურენტი „რუსთავი" მეოთხედფინალს მიღმა დარჩენილიყო. არადა, „რუსთავმაც" ხომ მშვენივრად ითამაშა! ჯილდოებისთვის ბრძოლას უწესოდ რომ გამოაკლეს, რუსთაველები კვირას სათამაშოდ აღარ ჩამოვიდნენ. ისინი „უნივერსიტეტის" მეორე გუნდმა შეცვალა.

კვირას ამაღელვებელი გამოდგა ძირითადი ნახევარფინალები. „ყოჩებმა" ლამაზად შეუტიეს „ვესტას" „ბებრებს", მაგრამ გ. გიუნაშვილის ერთმა სოლო-რეიდმა მათი გზნება ადვილად დააცხრო. „ჭეელი ვესტა" 16 ქულით უგებდა „შევარდენს", მაგრამ შევარდენლების — ჯანელიძის, ნ. მგელაძისა და ნ. იურინის ოსტატობით შეხვედრის ბოლოსთვის ანგარიში 4 ქულამდე შემცირდა. ბოლოს მაინც „ვესტას" კაპიტანმა მარჯანიშვილმა იმარჯვა და თავისიანები მთავარ ფინალში გაიყვანა.

ბოლო წრეში უშეღავათო გამოდგა „აკადემიისა" და მეორე „შევარდენის" თამაში მეხუთე ადგილისათვის, რომელიც დამატებითი დროის მე-6 წუთზეღა დამთავრდა. აი, საჩემპიონო ფინალში კი ისეთი ამბები დატრიალდა, „ვაკის შვიდკაცებზე" ერთხელაც რომ არ გვინახავს. მართალია, ორივე მოპაექრე „ვესტას" გუნდი იყო, მაგრამ „ჭეელთა" უმეტესობა ერთად გაზრდილა ჯერ განათლების სამმართველოს გუნდში, მერე ასკ-ში, ბოლოს კი — „აკადემიაში"; 1988 და 1989 წლებშიც სწორედ მათ წააგეს ფინალებში „ვესტას" „ბებრების" წინამორბედ „ელმავალთან". ჰოდა, ძველი ანგარიშების გასასწორებლად კვირას ბრწყინვალე თამაში გაჩაღდა, რომელშიც „ბებრებმა" — თავაძემ, გ. გიუნაშვილმა, ჩავლეიშვილმა და „ჭეელყოფილმა" ნარიმანიძემ შესვენებამდე ბდღვირი ადინეს „ჭეელებს" — 15:0. მეორე ნახევარში „ჭეელთა" ლიდერმა მარჯანიშვილმა ისევ „აიწყვიტა" და ანგარიში 3 ქულამდე შეამცირა. მერე ისევ „ბებრებმა" იმარჯვეს და ბოლო წუთზე 7 ქულითაც იყვნენ წინ, რაც უკვე მათს გამარჯვებას ნიშნავდა. მაგრამ აქ მოულოდნელი რამ მოხდა: გუნდები ანგარიშზე შეკამათდნენ, მსაჯმა ყოყმანი დაიწყო და საეჭვო შეიქნა ის, რაც მოედანს გარეთ მყოფს არავის აეჭვებდა. მალე „ჭეელებმა" ლელო გაიტანეს, სხვაობა სინამდვილეში 3 ქულამდე შეამცირეს, თავიანთი აზრით კი — ერთამდე, და მარჯანიშვილს კარის პირდაპირ ლელოს გარდასასახად დადებული ბურთი რაღაც ჯადოდ თუ ბედად ხარიხისთვის რომ არ გაერტყა, ვინ იცის, მოედანზე რა ვაი-უშველებელი დატრიალდებოდა. ახლა კი, მადლობა ღმერთს, ორივე გუნდის „ათვლით", „ბებრებმა" გაიმარჯვეს, თამაზ ხუადე მოედნის მახლობლად გდებულ ძირგავარდნილ წალს ხუმრობით დასწვდა და... გუნდმაც ამ სახელდახელოდ მოპოვებული ჯილდოთი მოედანს საპატიო წრე შემოურბინა.

ზაალ ბიბინეიშვილი,
„შვიდკაცების" დაწესების ერთ-ერთი ენთუზიასტი.

ტექნიკური შედეგები:

თბილისი. ვარკეთილის სტადიონი. მეოთხე „შვიდკაცა".

მსაჯები: დიმიტრი ფულარია (იმსაჯა 7 შეხვედრა), მიხეილ გარუჩავა (7), ზურაბ რეხვიაშვილი (6), ლევან მგელაძე (4), თამაზ გიორგობიანი (3).

14 სექტემბერი.

„ა" ქვეჯგუფი: „უნივერსიტეტი" — „სამედიცინო" 15:0, „ვესტა" II — „სამედიცინო" 28:4, „ვესტა" II — „უნივერსიტეტი" 16:10 (0:10).

„ბ" ქვეჯგუფი: „ვესტა" I — „რუსთავი" 16:6 (0:0), „აკადემია" — „რუსთავი" 8:8, „ვესტა" I — „აკადემია" 8:0 (8:0).

„გ" ქვეჯგუფი: „შევარდენი" II — „ივერია" I 4:3 (4:3) „ყოჩები" — „ივერია" I 30:0, „ყოჩები" — „შევარდენი" II 10:6 (0:0).

„დ" ქვეჯგუფი: „ივერია" II — „ბუბა" (ონი) 8:4 (4:4), „შევარდენი" I — „ბუბა" 20:6 (14:0), „შევარდენი" I — „ივერია" II 24:0.

15 სექტემბერი

სანუგეშო ტურნირი: „ივერია" I — „ბუბა" 4:0 (0:0), „ივერია" I — „სამედიცინო" 15:0, „ბუბა" — „უნივერსიტეტი" II 16:4 (6:4).

პირველი წრე (მეოთხედფინალი) „ვესტა" II — „აკადემია" 16:4 (4:0), „ვესტა" I — „უნივერსიტეტი" 18:0, „ყოჩები" — „ივერია" II 10:6 (6:0), „შევარდენი" I — „შევარდენი" II 28:4 (12:4).

მეორე წრე (ნახევარფინალი): „აკადემია" — „ივერია" II 20:0, „შევარდენი" II — „უნივერსიტეტი" 22:6 (8:0), „ვესტა" II — „ყოჩები" 22:4 (18:0), „ვესტა" I „შევარდენი" I 22:12 (16:0).

მესამე წრე (ფინალი): „უნივერსიტეტი" — „ივერია" II 12:6 (0:6), „აკადემია" — „შევარდენი" II 18:14 (დამატებით დროში; 14:14, 8:6).

შეხვედრა მესამე ადგილისთვის: „ყოჩები" — „შევარდენი" I 7:0 (4:0). ბურთები: გეგენავა (ლელო), კობახიძე (საჯარიმო).

შეხვედრა პირველობისთვის: „ვესტა" II — „ვესტა" I 19:16 (15:0).

„ვესტა" II: ნარიმანიძე, გ. გიუნაშვილი, ღიბრაძე (ხუადე); ქერაული, ჩავლეიშვილი, თავაძე, საცერაძე (ნ. ხვედელიძე).

„ვესტა" I: ობოლაძე, ჯაფარაშვილი, ვართანიანი; მარჯანიშვილი, ა. ხვედელიძე, ბესელია, ვასაძე.

ბურთები: „ვესტა" II — 3 ლელო (თავაძე, ჩავლეიშვილი-2), 2 გარდასახვა და 1 საჯარიმო (ჩავლეიშვილი); „ვესტა" I — 3 ლელო (ა. ხვედელიძე, მარჯანიშვილი, ვასაძე), 2 გარდასახვა (მარჯანიშვილი).

საბოლოო კლასიფიკაცია: 1. „ვესტა" II, 2. „ვესტა" I, 3. „ყოჩები", 4. „შევარდენი" I, 5. „აკადემია", 6. „შევარდენი" II, 7. „უნივერსიტეტი". 8. „ივერია" II, 9. „ივერია" I, 10-11. „ბუბა" და „სამედიცინო".

* * *

მანილასა და რეიკიავიკში...

(დასასრული)

საბჭოთა საჭადრაკო ფედერაციის ინტერესებს დაიცავს, თუ ქართული საჭადრაკო სკოლის, საქართველოს რესპუბლიკის პრესტიჟის კიდევ უფრო ამაღლებისთვის იბრძოლებს.

დავა ამ საკითხზე საბოლოოდ ჯერ არ არის დამთავრებული. საბჭოთა კავშირის შესაბამისი ორგანიზაციები თავგამოდებით ებღაუჭებიან გამოჩენილ სპორტსმენებს, თანაც, საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია (გასაგებ მიზეზთა გამო) ჯერ არ არის საერთაშორისო ფედერაციის წევრი. მაგრამ მტკიცეა მაიას მოთხოვნა: მატჩს ვითამაშებ საქართველოს დროშით, ან საერთოდ, ყოველგვარი დროშის გარეშეო. მას თან მიაქვს ჩვენი რესპუბლიკის სამფეროვანი ალამი და ჰიმნის ჩანაწერი.

დაველოდოთ ცნობებს მანილადან. მანამდე კი ჩვენს ყურადღებას მიიპყრობს რეიკიავიკი, ქალაქი, სადაც 21 სექტემბერს სტარტს აიღებს ვაჟთა შორის მსოფლიო თასის მეორე გათამაშების პირველი ტურნირი. ასეა დაგეგმილი — 21-ში, თუმცა გაჩნდა მეორე მოსაზრება: წილისყრა შაბათს კი არა, ორშაბათს — 23 სექტემბერს მოეწყობაო (ამას სპორტის გულშემატკივრებისთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს). ერთი ცხადია, რეიკიავიკში შეიკრიბება მსოფლიოს 16 დიდოსტატი, რათა პირველი მომგებიანი ქულები ჩაიწერონ — თასი ხომ იმ გამორჩეულს მიეკუთვნება, რომელიც ხუთიდან სამ ტურნირში ასპარეზობით ყველაზე კარგ შედეგებს აჩვენებს.

მაინც ვის აქვს ისლანდიის დედაქალაქში წარმატების მიღწევის მეტი შანსი, ვინ დაწინაურდება? ამას შევიტყობთ ოქტომბრის შუა რიცხვებში, ისე კი, ჭერჭერობით, ვიდრე იქ საჭადრაკო საათები არ ჩაურთავთ, ყველას შანსი თანაბარია. ჭადრაკი იმითაცაა საინტერესო, რომ მისი სიურპრიზები ამოუწურავია.

აი, ეს თექვსმეტეული: შვედი ულფ ანდერსონი, მასპინძელი იოჰან ჰიარტარსონი, უნგრელი ლაიოშ პორტიში, ჰოლანდიელი იან ტიმანი, ორი ამერიკელი — ბორის გულკო და იასერ სეირავანი, ორი იუგოსლაველი — ლიუბომირ ლიუბოევიჩი და პრედრაგ ნიკოლიჩი, ორი ინგლისელი — ჯონათან სპილმენი და მიურიეი ჩანდლერი, აგრეთვე, საბჭოთა კავშირიდან — ალექსანდრე ბელიავსკი, ანატოლი კარპოვი, ვასილ ივანჩუკი, ვალერი სალოვი, ალექსანდრე ხალიფმანი და იან ელვესტი.

ჭადრაკის მოყვარულებს შევახსენებთ, რომ ასეთი რანგის შეჯიბრებაში პირველად მონაწილეობს ქართველი დიდოსტატი — ზურაბ აზმაიფარაშვილი ბრძოლაში ჩაებმება მეორე ტურნირიდან. ეს ასპარეზობა გაისად, 1-24 აგვისტოს მოეწყობა ბრიუსელში.

ბრიუსელის ტურნირში უნდა ჩაბმულიყო მსოფლიო თასის მფლობელი გარი კასპაროვიც, მაგრამ... შეჯიბრების ორგანიზატორები დათანხმდნენ ესპანეთის ჭადრაკის ფედერაციის თხოვნას — კასპაროვს ეთამაშა მეოთხე ტურნირში, რომელსაც 1993 წლის 1-24 აპრილს ბარსელონა უმასპინძლებს.

ოთარ იმედაშვილი

დუდუ ლიბრაძე

გარდაიცვალა ქართული ფეხბურთის ერთგული ქომაგი და მოჭირნახულე, ზესტაფონის საფეხბურთო კლუბის „მარგვეთის" გუნდის უფროსი დუდუ კონსტანტინეს ძე ლიბრაძე.

დაიბადა 1932 წელს, ყმაწვილობიდანვე ეზიარა ფეხბურთს. თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლის აღზრდილმა საქმიანი კვალი დატოვა რესპუბლიკის სხვადასხვა საკლუბო გუნდებში. საფეხბურთო მინდვრებზე გამოდიოდა 1949-1960 წლებში. თამაშობდა თბილისის ოფიცერთა სახლის, „ლოკომოტივის", რუსთავის და ზესტაფონის „მეტალურგის" გუნდების შემადგენლობაში.

საფეხბურთო მინდვრიდან წავიდა, მაგრამ როდი გაწყვიტა მასთან კავშირი, შემდგომ წლებში დიდი ამაგი დასდო ფეხბურთის განვითარებას. თითქმის ორი ათეული წელი ზესტაფონის „მარგვეთის" (ყოფილი „მეტალურგი") გუნდის უფროსი იყო. უსაზღვრო სიყვარულით ილვწოდა და ძალ-ღონეს არ ზოგავდა რათა ღირსეულად ეტარებინა ხელმძღვანელის მძიმე ტვირთი.

დ. ლიბრაძეს იცნობდნენ, როგორც კეთილი ბუნების ადამიანს, უღალატო მეგობარს, თანადგომით გამორჩეულს და ახალგაზრდობის კეთილ დამრიგებელს. მისი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ქართული ფეხბურთის მოყვარულთა შორის, მათ გულებში, ვისაც ამ შესანიშნავ პიროვნებას ახლოს იცნობდა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია,
ზესტაფონის რაიონის სპორტული ორგანიზაციები,
საფეხბურთო კლუბ „მარგვეთის" პრეზიდიუმი.

ტურნირები და შედეგები

● **ბონი.** გერმანიის კალათბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ მატჩში ჰაგენის „ბრანდმა" დაამარცხა ევროპის საკლუბო ტურნირში მოთამაშე „ბრაუნშვეიგი" ანგარიშით 81:67. გამარჯვებულ გუნდში თავი გამოიჩინა კაუნასის „ჟალგირისის" ყოფილმა წევრმა რიმას კურტინაიტისმა — 19 ქულა. ამავე ტურში ტრიერის ტვვ-მ მოუგო ბრამშეს ტუს-ს — 96:82. ამ შეხვედრის საუკეთესო ბომბარდირი იყო კიეველი ალექსანდრე ბელოსტენნი — 18 ქულა.

● **პადუა.** მძლეოსანთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე სიმაღლეზე მხტომელ ქალთა შეჯიბრება მოიგო სტეფკა კოსტადინოვამ — 203 სმ. საინტერესოა, რომ ეს გახლავთ ბულგარელი მძლეოსნის მიერ ბოლო ორი წლის მანძილზე ნაჩვენები საუკეთესო შედეგი.

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 21 სექტემბერს

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ბ. ქორქია, კორექტორები ე. ხომერიკი, ც. ჩიტიშვილი.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა, თბილისი, ვ. კოსტავას ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.